№ 265 18 დეკემბერი, შაბათი. 1866—1882 18 დეკემბერი, შაბათი. № 265.

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თ. ი. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თბილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (გერასიმე) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლისა | 9 მან. | სამის თვისა | 3 მან. |
| ექვსის თვისა | 5 მან. | ერთის თვისა | 1 მან. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ. [illegible] ასოზე ნახევარი კაპ., [illegible] 8 კაპ.

თუ ხელნაწერები შეითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დაუბეჭდავ გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით უკან დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.

კონსტანტინე იაკობის-ძე და ელისაბედ მიხაილის ასული ზუბალოვები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა თვისი შვილის ანდრია კონსტანტინის-ძის ზუბალოვის გარდაცვალებასა. მიცვალებულს გამოასვენებენ საკუთარის სახლებიდამ კ. ზუბალოვისა (გოლოვინის პროსპექტზე) ძველ-კათოლიკეთ ეკკლესიაში, შაბათს, 18 ამ თვეს დილის 10 საათზე. (2—2)

## ტელეგრამმა

(„ჩრდილოეთ ტელეგრაფის სააგენტოსი“)

16-ს დეკემბერს.

**პეტერბურღი.** „მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია, რომ გუშინ ხელმწიფე იმპერატორმა და იმპერატრიცამ ინახულეს ახლად-შემოერთებულ ბათუმის მაზრის ორი ბეგი თავადი აბაშიძე და თ. ბეჟანიძე, რომელნიც ადრე ოსმალოს აფიცრები იყვნენ და ახლა მილიციის მაიორებად არიან ჩარიცხულნი. ბეგებმა მადლობა შესწირეს ალლახს ხელმწიფისაგან ასე კარგად და მოწყალებით მიღებისათვის და გამოაცხადეს, ყველა ჩვენებურებს გამოუცხადებთო, რომ ამისთანა ბედნიერება გვეღირსაო.

ფინანსთა სამინისტროს ანგარიშით, წლის 1 დეკემბრისთვემდინ სახელმწიფო ხაზინას 46 მილიონი მან. მომეტებული შემოსავალი ჰქონია, ვიდრე გასავალი, ხარჯი 26 მილიონით შემოკლებულა, ასე რომ წმინდა შემოსავალი ხაზინას ჰქონია 72 მილ. მან.

გაზ. „გოლოსს“ გამოეცხადა მეორე გაფრთხილება; გაზ. „რუსსკი კურიერი“ სამის თვით შეაჩერეს; გაზ. „მოსკოვის ტელეგრაფს“ ცალკე ნომრების გასყიდვა აღუკრძალეს.

„ნოვოე ვრემიაში“ იწერებიან, კახანოვის კამისიის აზრით, ზოლიციას ჩამოერთმევა მოვალეობა ჯარიმების გადახდევინებისა, ხარჯის მოკრებისა, უწყებათა დარიგებისა და საზოგადოთ ყველა კანცელარიული საქმეები.

სახელმწიფო რჩევა განიხილავს ამ დღეებში—უნივერსიტეტის სტუდენტებს ფორმა უნდა ჰქონდეთ, თუ არაო.

„გოლოსში“ დაბეჭდილია, რომ ხელმწიფის გვირგვინის კურთხევის დროს ძღაბიო ხალხისათვის მოსკოვში ხოდინის მეიდანზე ორი თეატრი იქნება გამართულიო, ცირკი, კარუსელი, სატრიუმფო კარები, რომელზედაც გამოხატული იქნება პირველ მეფის რიურიკის მიწვევა რუსეთში, მონგოლთ უღლისაგან განთავისუფლება, ციმბირის დაპყრობა, რომანოვის გვარის გამეფება, პეტრე დიდის რეფორმები და სხვ. შუაში მაღალი კოშკი, რომელზედაც გაკეთებული იქნება მოძრავი სურათები იმპერატორის ალექსანდრე მეორის მეფობიდამ; ხალხს გამოფენის სადგომში გაუმასპინძლდებიან,

**ტომსკი.** აქ გარდაცვალა ქალაქის თავი ციბულსკი, რომელმანც დიდძალი ფული შესწირა ციმბირის უნივერსიტეტს სასარგებლოდ.

**მოსკოვი.** გენერალ-გუბერნატორის წინადადებით, ქალაქის რჩევას ჰქონდა სჯა ფაბრიკის მეპატრონეთა და მუშების დამოკიდებულების შესახებ. რჩევამ გარდასწყვიტა, რომ ეს დამოკიდებულება მხოლოდ კანონით შეიძლება უკეთ იქმნეს განსაზღვრულიო.

გუბერნიის საერო კრებამ უარი გამოაცხადა პეტერბურღის საქალებო კურსების შემწეობაზედ.

**ირკუტსკი.** 1882 წლის განმავლობაში აქაურს ლაბორატორიაში სულ 1421 ფუთი ოქრო გადაადნეს; აქედამ 741 ოლეკლაინის, 255 ამურის, 178 ნერჩინსკის, 34 ბურგუზინისა და 38 დანარჩენისა. 2 ჩ. 420.000 ფ.

**როსტოვი-დონზე.** 1882 წელს აქედამ გაიტანეს სულ 42 მილიონი ფუთი პური, 17 მილიონით მომეტებული შარშანდელზე.

**ტფილისი.** 15 დეკემბრამდინ თითქმის ერთი მილიონი ფუთი საქონელი გავიდა აქედამ ტრანზიტით.

## დღიური

უკანასკნელს ნომერში გაზ. „შრომისა“ დაბეჭდილია შემდეგი შენიშვნა:

„ზოგიერთი ჩვენი გაზეთის ხელის მომწერლები გვთხოვენ დავეკითხოთ პატივცემულ „დროების“ რედაქციას, რა უყო, ან მიიღო, თუ არა იმან თ. ალექსანდრე წულუკიძის მეუღლის კ-ნა ეკატერინა შარვაშიძის ასულისაგან ბროსსეს პრემიისათვის შეკრებილი ფული, სამას მანეთზე მეტი, რომელსაც ორ წელიწადზე მეტია, რაც აგროვებდა და რომელიც „დროების“ რედაქციისათვის უნდა გადაეცა?

„იმედი გვაქვს, რომ პატივცემული გაზეთის რედაქცია არ დაიზარებს ამ კითხვაზედ პასუხის მიცემას.“

ჩვენი პასუხი ამ დაკითხვაზედ მოკლეა:

„დროების“ რედაქციას კ-ნა ეკატერინა წულუკიძის მეუღლისაგან ბროსსეს პრემიისათვის, ერთი კაპეიკიც არ მიუღია, და რომ მიგვეღო, როგორც სხვა შემწირველთა სია იყო ხოლმე თავის დროზე გაზეთში გამოცხადებული, [illegible], უეჭველი, იმის სიაც იქნებოდა.

* *

ოზურგეთიდამ გვწერენ, რომ ამ დღეებში იქ დაუჭერიათ ერთი გამოჩენილი ავაზაკთაგანი მელქისედეგ მახარაძე, რომელმაც ამას წინად დაჭრილი მეორე ავაზაკი ჭყონია გასცაო.

* *

სიღნაღიდამ გვწერენ, რომ ჩალაუბნის გზაზე სამუშაოდ გამოყვანილი გლეხები ერთობ დიდ შეწუხებასა და წვალებაში არიან თურმე მუშაობის ზედამხედველ კონდუქტორებისაგან; აქაც ის ჩვეულებრივი უწესოება ხდება, რაც საზოგადოდ ჩვენში, როდესაც კი სამუშაოდ გლეხები გამოჰყავთ

«დროების» ფელეტონი, 18 დეკემბ.

## ჩვენი ხალხის ცრუ-მორწმუნოებანი

(სახალხო სიტყვიერების მასალად.)

(დასასრული *)

### შელოცვა მშობიარისა

ქალს რომ ლოგინის დრო მოუვა და ძნელად იქნება, ასე შეულოცავენ:

„იას, თიას, მიწას მწვანე ერთი იხსნისო, ერთი საპანი აროგსო—არგებსო, დედა ღვთისა, ლოცვა ჩემი, ბრძანება, ერთი საპანი მსხნელი თქვენ გაეყაროს.“

დედას შვილი რომ ბუდიდამ გამოსვლას დაუგვიანებს, სელის ქუმელა უხჩოლეთ, ფეტვი თავის ლეროთი და ფოჩითა მოხარშეთ წყალსა და ლეინოში, შემოადეთ მუცელზედ და იმის წვენითაც ზილეთ—კარგი არის.

ყმაწვილს რომ ელქუნი გაუჩნდება ასე შეულოცეთ:

ქრისტე ღვლა დედა იწვია, სული ელქუნისა არ იწვიაო. ელქუნმა სთქვა:—მე რატომ არ მიწვიაო?—შენ იმისთვის არ გიწვიე: შეხვალ ყმაწვილის ტანში, დაბოლდები, დაჩირქდები, გარდაჯდები-გარდმოჯდები, გადასუსნი-გადმოსუსნი.—არა მამან, და ძემან, და სულმან წმინდამან, არ დავბოლდები, არც დავჩირქდები, არც გადავსჯდები, არც გადმოვსჯდები, გავხმები, ჩამოვცვივი ქერის ქატოსავით.

ესეც ელქუნის წამალი: მგზავრული ღვინო, ძროხის ქონი აურიეთ და წაუსვით.

12) ტყემლის ხის შამფურზედ სამ თავ ხახვს აავებენ, მელოგინეს თავით დაუდებენ: ავი მაინც არ მიუდგებაო.

13) მელოგინე რომ დაწვება, ლოგინ ქვეშ თივას დაუგებენ: ღვთისმშობელიც თივაში იწვაო. როცა ადგება, ამ თივას ცეცხლს მოუკიდებენ და ზედ სამჯერ გადაახტუნებენ მელოგინეს და ყმაწვილსაც აკვნით ხელში მისცემენ.

14) მშობიარე რომ ადგეს, ლოგინი კაცმა უნდა აულაგოსო.

15) ბავშვის დაბადების შემდეგ, პირველ შაბად სალამოს ქალებს მოიწვევენ, ვახშამს გაუკეთებენ და „მზე შინას“ ათქმევინებენ.

მზე შინაო, მზე შინაო, მზევ, შინ შემოდიო!
მზე დაწვა და მთვარე შობა, მზევ შინ შემოდიო,
ლალმა იაგუნდი შობა, მზევ, შინ შემოდიო,
იაგუნდის მარანშია, მზევ, შინ შემოდიო;
ღვინო დგას და ლალი ბჟუტავის, მზევ, შინ შემოდიო,
შიგ ალვის ხე ამოსულა, მზევ, შინ შემოდიო,
ნორჩია და ტოტსა შლისა, მზევ, შინ შემოდიო,
ზედ ბულბული შემომჯდარა, მზევ, შინ შემოდიო,
აქ ვაჟი დაბადებულა, მზევ, შინ შემოდიო!
დუშმანს ქალი ჰგონიაო, მზევ, შინ შემოდიო,
ვაჟის მამა შინ არ არის, მზევ, შემოდიო,
ქალაქს არის აკვნისათვის, მზევ, შინ შემოდიო,
აკვნის იარაღისათვის, მზევ, შინ შემოდიო
საბან-არტახ-ზეწრისათვის, მზევ, შინ შემოდიო,
მზე შინაო, მზე შინაო, მზევ, შინ შემოდიო.

ამ სალამოს წვეულებას და ლხინს ეძახიან „ძეობას“. როდესაც ვახშამს გააკეთებენ, მერმე მოუსხდებიან მელოგინეს და დაიწყებენ სიმღერას: „მზე შინასავე“ ხმ ზედ, რომლის გათავების შემდეგ, რამე ხილი უნდა მოართვან.

სირის კუდს მოგვიტანებენ, მოსირის კუდოვო,
სირის კუდო, ქათმის კუჭო, მოსირის კუდოვო,
კაკალო მოდი ჩხრიალითა, მოსირის კუდოვო,
ჩურჩხელავ, მოდი სრიალითა, მოსირის კუდოვო,

*) იხ. „დროება“, № 264.

ხოლმე; საჩუქრები, მოყვრობა და ქრთამი დიდ პატივდებაშია, ვინც ამ გვარ საშუალებით არ მოიგებს კონდუქტორებისა და მამასახლისების გულს, ისინი გაჰყავთ სამუშაოდ და ვინც მოიგებს, იმათ კი ნახევარ ვადასაც არ ამუშავებენო.

Თუ როგორ ეპყრობიან ხალხს ხსვენებული კონდუქტორები—ამის მაგალითსაც გვწერენ: ამას წინად ერთს კონდუქტორს ერთის გლეხისათვის ჩაუცია წიხლი და ისეთ ნაირად ავად გამხდარა ამის გამო გლეხი, რომ ცოცხალ-მკვდარი წაუყვანიათ შინ ურმით.

Ეს გარემოება ადგილობრივ ადმინისტრაციისათვის უცნობებიათ და, იმედია, ის უყურადღებოდ არ დააგდებს ამ გვარ მხეცურ მოქმედებას ბ. კონდუქტორისას.

* *
*

Უნგარიშო ხალხი მიაწყდა გუშინ წინ ზოდფრუას ცირკს, რადგან ჩვენი გამოჩენილი მოჭიდავის ზლდანელის ჭიდაობა იყო გამოცხადებული. Ის დაეჭიდა ერთს ბაქოს გუბერნიიდამ ამისთვის საგანგებოდ ჩამოსულს კროს და ისიც ისე დაამარცხა, როგორც ბევრი სხვა ამისთანები. ძალიან მარჯვე ბიჭი კი უნდა იყოს, როგორც ეტყობოდა, ის კრო: ორჯერ წამოიქცა ზლდანელმა ზურგით და ორივეჯერ კატასავით ფეხზე დადგა; მესამეჯერ კი იმის მძლავრ სარმას ველარ გაუძლო, გულ-აღმა დაეცა და ზლდანელიც ზემოდამ დააწვა, კიდევ აღარ წამოხტესო...

## „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

—

**ᲑᲝᲠᲩᲐᲚᲝ**, 10 დეკემბერს. სამწუხარო და ხან სასაცილო სურათს წარმოადგენს ამ ჟამად ჩვენი მაზრა. Არა გვყავს მთავრობა, არა გვყავს ადგილობრივი უფროსი. Ბორჩალოს მაზრის უფროსი ბ. Ომაროვი თითქმის მთელი წელიწადია, რაც ავადმყოფობს და ამ ჟამად მანგლისში წევს; იმის თანაშემწე მთელი გავლილი ზაფხული Წალკის მხრის სოფლის მოხელეთა ამორჩევას მოუნდა. Პრისტავი ჩვენი ბ. მამიკონოვი ზაფხულის დამდეგს აქედ Ლორის საპრისტაოში ატარებს დროებას; მომრიგებელი მოსამართლე ბ. Ფურცელაძე გამოეიდა სამსახურიდამ და გამომძიებელმა ბ. ზამრეკელმა, არ ვიცით ვისი ნება-რთვით, თავის რეზიდენცია ბორჩალოდამ შორს სოფ. ჩაფახჩში გადაიტანა.

Და ყველა ამ გარემოების წყალობით, ბორჩალოში გამრავლდა: ცეცხლის-წაკიდება, კაცის-კვლა, ქურდობა და სხვ. ამგვ.

Მართალი გითხრათ, ყველა ამის ცქერა ჩემს სამშობლო ბორჩალოში მეც მომბეზრდა და პრისტავის მამიკონოვის არ იყოს, Ლორის საპრისტაოში გადავველი. Მაგრამ აქაურობა უფრო სამწუხარო მდგომარეობაში დამხვდა: აქ შევიტყე, რომ მოუკლავთ ადგილობრივი გამომძიებელი ქამსარაკანი, დაუტუსაღებიათ აქაური პრისტავი Ასტაფიევი და ადგილობრივ პოლიციის კამანდას კი კაცის-კვლას აბრალებენ!

Ამ სამწუხარო სურათს თავი დავანებოთ და უფრო სამხიარულო რაზედმე ვილაპარაკოთ. Სამად-აღა-Ქასუმოვის ამბავზე სამხიარულო რაღა იქნება!—იმას მოგიყვებით:

Სამად-აღა Ქასუმოვი ბორჩალოს ალალარი გახლავთ; იმის სახელი სამხედრო საქმეებში შორს განთქმულია; მაგრამ ამ უკანასკნელ დროს დიდი სამოქალაქო ნიჭიც გამოიჩინა:

Სამად-აღამ დაინახა, რომ ადგილობრივი მთავრობა არაფერს არ აკეთებს, და არათუ არაფერს არ აკეთებს, არამედ სულაც არა სჩანს; დაინახა, რომ დიდია ბორჩალოს მაზრა, მაგრამ წესი არ ჰსუფევს იქ; დაინახა ეს და სთქვა თავის გუნებაში: ასე გულგრილად ცქერა ყველა ამისა ჩემის მხრით შეუძლებელია. Სთქვა ეს და გადაწყვიტა ბორჩალოს სამოქალაქო გამგებლად დადგომა!

Და, აი, ამ კეთილ-შობილურ გრძნობით აღჭურვილმა სამად-აღამ თავის სამოსამართლო და საადმინისტრაციო დაწესება გამართა Ყარალაჯის უდაბნოში; გამართა ისეთი სასამართლო, რომელიც მუშტის-კრივით და ძალით აჩენს სამართალსა!

Მსურველს შეუძლიან მივიდეს და ნახოს Ყარალაჯა, რომელიც მოფენილია ბორჩალოს მაწანწალა ხალხის კარვებითა, რომელთ შუა დგას ერთი დიდი, ევროპიული ბამბის კარავი; ამ კარავს მუდამ უანგარიშო ხალხი არტყია გარს; კართან მცველები დგანან. Კარავში ერთი დიდი სტოლი დგას, რომელსაც ერთის მხრით მისჯდომია თვითონ ამ სამართლის მომგონი—სამად-აღა და მეორეს მხრით ვილაც გრძელ-წვერა ეფენდი, რომელსაც, „კანონთა კრების“ მაგივრად, მუდამ Ყირანი უჭირავს ხელში.

Მომჩივრები შეჰყავთ კარავში კარის მცველთ, რომელნიც ამ ნაირად იმავე თანამდებობას ასრულებენ აქ, რასაც სასამართლოებში სასამართლოს პრისტავები, ანუ ბოქაულები. Კარავში შესვლისა-თანავე მთხოვნელები პირქვე დაეცემიან მრისხანე მოსამართლეს წინაშე და მუხლებზე ემთხვევიან იმას... Სამართლის გაჩენას ბევრ დროს არ ანდომებენ, მოკლე სამართალი იციან. Დამნაშავეს იქ გარდაახდევინებენ ფულს, რომლის მომეტებულ ნაწილს თვითონ მოსამართლე იტოვებს თავის სასარგებლოდ, და ისტუმრებს მომჩივრებს.

Ამაზე უკეთესი წესი განა კიდევ იქნება: სამად-აღამ გაიგო, რომ რუსეთის ხაზინა ამ ჟამად ცოტა არ იყოს სუსტად არის; იცის, რასაკვირველია, ისიც, რომ ბორჩალოს მოსამართლე და პატრონი არა ჰყავს,—და დაეხმარა მთავრობასაც და თავის ქვეყანასაც: მუქთად, უჯამაგიროდ იკისრა მოსამართლეს თანამდებობაცა და მაზრის უფროსობაც!

Ამას წინად ბორჩალოს პრისტავი ბ. მამიკონოვი მოვიდა აქ, სადაც სამად-აღას ეს თავის სასამართლო აქვს დაწესებული, ნაქურდალი ცხენი უპოვნა ყარალაჯელებს, ჩამოართვა და წავიდა. Შეიტყო თუ არა სამად-აღამ ეს ამბავი, იმ-წამსვე თავის ამალით გამოედევნა ბ. პრისტავს და მოეწია გზაზედ. Მამიკონოვი ისეთ ნაირად შეშინდა, რომ აქვე შულავერის ერთი მცხოვრების სიმონ ჩობანოვის სახლში მიიპატიჟა სამად-აღა, კარგად გაუმასპინძლდა, ნასადილევს ცხენი გამოატანა და გზაც დაულოცა!

აქაური.

## „ᲡᲐᲛᲚᲕᲓᲝᲚᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲙᲔᲗᲘᲡ“ ᲛᲝᲞᲐᲡᲣᲮᲔᲡ.

Მღვდელი მახარობლიძე იქამდინ გაასპიტებულა სამღვდელოების მოკეთის“ ფელტონით („Დროების“ № 246), რომ აღარც კი იცის, ვის შეეხოს თავის პასუხში: „სამღვდელოების მოკეთეს“, თუ იმათ, ვიზედაც ხსენებულ ფელტონში არის ლაპარაკი.

1882-ს წელს 25-ს ივნისს კრებაში, რომელშიაც უმთავრესი ადგილი ეჭირა მახარობლიძეს, განიხილეს, სხვა-

---

ყურმენო, მოდი, მოსრიალდი, მოსირის კუდოვო,
ჩამიჩო მოდი ჩუჩუნითა, მოსირის კუდოვო,
ფშატო, მოდი ფაჩა-ფუჩით, მოსირის კუდოვო,
ძეობისა მასპინძელო, მოსირის კუდოვო,
მე და ასული გიცოცხლოთ, მოსირის კუდოვო,
სირის კუდო ქათმის კუზო, მოსირის კუდოვო.

16) Ყმაწვილი რომ დაილახება, დედა სამ კვირა ძალზე, სახლიდამ ბანში მიუწოდებს ყმაწვილს ვისმე, და ისიც როდესაც აძვრენს ბანიდამ სამჯერ იტყვის:—ჰკუტი ხარ ფეხი აიღგიო“.

17) Მელოგინის ლოგინზე ბადეს გადახურევენ: ავი მაინც აღარ მიუდგებაო. Აგრეთვე ყმაწვილის აკვანსაც შეაბმენ ხოლმე ბადეს: მაინც არ მიუდგებაო.

18) ძილით მიქცევის დროს ამ ლოცვას ამბობს ხოლმე მელოგინე:

„რიონი ჩამოვიარე, ვამბობდი ალსარებასა, ეშმაკო ჩამომეხსენი, არა ვარ შენსა ნებასა; ჯვარი მწყალობს ჯვარცმული, ჯვარი პატიოსანი, ჯვარს ვიწერდი ჯვარითა, ჯვარსა ანგელოზითა; მოსეს კვერთხითა, სოლომონ ბრძენითა ვარ, ქრისტე, მარიამ. Რად სტირი, დედავ მარიამ, რად ღვრი მარგალიტის ცრემლსა? Ბადენო, ბადენსაო, ბადენი ბადენისანი, ბორკილი რკინისანი, შევკრათ, შევკოჭოთ, მოარულნი ღამისანი—მაწყინარნი კაცისანი. Ღმერთო, შენ დამწერე შენი წყალობის ჯვარი.

19) Გაჭირებული მელოგინე ხშირად Ღვთის-მშობელს მოიწვევს ხოლმე და ეხვეწება შველას, რადგანაც იცის, რომ Ღვთის-მშობელს უცდია მუცლის ტკივილი.

20) Ვისაც შვილი არა რჩება ხოლმე, ის ან თითონ, ან უფრო მკითხავის რჩევით, ორივე სქესისას ყმაწვილს ბერად შეაყენებენ ხოლმე; სამოთხ წელიწადს თმას არა ჰკრეჭენ და თეთრი ტანისამოსით ინახვენ, შემდეგ მიჰყავთ იმ წმიდათის კარზე, რომელსაც შეუთქვამენ, თეთრებს იქ დახდიან, თმას მღვდელს შეაკრეჭინებენ ცოტას და მერმე თითონ გადაკრეჭენ *)

21) Ყმაწვილს რომ აბანავებენ, ამოიყვანენ თუ არა, სამჯერ თავს დააკრევინებენ ნაბანზე და ეტყვიან:

—„Დათვი მჭლე და შენ მსუქანიო“!

Ამავე ნაბანით აკვანს დაუნამვენ და ეტყვიან:

—„ შენი ძილი შენთანაო“.

22) Ყმაწვილს რომ სადმე წაიყვანენ, თან ნახშირს, შავ-ტარა დანას და პურს გაატანენ, ავი მაინც არ მიუდგებაო.

23) Შინ რომ აკვანი ცარიელი დარჩება, შიგ როდინის ქვას ჩასდებენ: ცარიელი აკვანი არ უნდა დარჩესო.

24) Მელოგინეს ყოველ საღამოს ნათლის წყლით უნამვენ ლოგინსა: მაინც არ მიუდგებაო.

25) Სახლში რომ ყმაწვილს მარტოკას დასტოვებენ, აკვნის თავით წყალს დაუდგამენ და რკინეულ რასმე მიაყუდებენ: მაინც არ შეაშინებსო.

25) Პირველად რომ ყმაწვილს აკვანში ჩააწვენენ, თავსა და ფეხთით ორ-ორ პურს უდებენ, ამასთანავე სტაქნით ღვინოს, შაქარს, მარილს და ფქვილს, კიდევ ვერცხლეულ რამეს: ბარაქიანი გამოვა ყმაწვილიო. Შემდეგ ეს ხორაგეული ყველა ბებიას მიაქვს თავისთვის.

27) Ყმაწვილს გულზედ მიაბმენ მძივებს, სათვალეს, ღვრინჭილის გიშერს, მარჯანს, ქარვას და მარგალიტს: ჭრელ-თვალმა თუ თვალი სცა, სათვალე გასკდებაო; თუ თეთრმა ადამიანმა, მაშინ ღვრინჭილა გასკდებაო; თუ შავმა ადამიანმა, მაშინ გიშერი გასკდებაო და თუ მწითურმა, მაშინ მარგალიტიო და სხვ.

28) Ყმაწვილს თუ ჭიპი გძლად შეუკრა ბებიამ, ..... გრძელი დაჰყვებაო.

29) Ბავშს რომ სიყვითლე მოუვა, ხუთშაბათს კოწახურს მოსჭრიან უმძრახად და ამ ხის ჯვარს გააკეთებენ და გულზედ შეაბმენ ყმაწვილს.

*) ქართლში უფრო გერის წმიდა გიორგისათვის აყენებენ ბერად და ბევრჯერ იქ მონათვლენ და განონიერ სახელის გარდა „გერისოს“ ეძახიან ხოლმე.

თა შორის, სამი თხოვნა.. ერთი რუსულ გალობის მასწავლებლისა, რომელიც სთხოვდა ქართულ გალობის შემოღებას ჩვენ სასწავლებელში და მასთანვე ჯილდოსაცა თხოულობდა შრომისთვის, უკეთუ შემოიღებდნენ ქართულ გალობას. ამაზედ ყურადღებაც არ მიაქცია მ. მახარობლიძემ, თუმცა ჩვენთვის ქართული აქამდინ აუცდენელ საჭიროებას შეადგენს, რომ ყოვლად უსამღვდელოესმა არხიეპისკოპზმა, აწ მიტროპოლიტმა, Iოანნიკემ რუსული გალობა ქართულად შეგვაცვლევინა.

ამავე კრებამ განიხილა მოსამზადებელი უმცროსი კლასის მასწავლებლის თხოვნა, რომელიც სთხოვდა კრებას ჯამაგირის მომატებას და ამასთანავე ქართული ენის გაკვეთილების მომატებასაც. ამ თხოვნასაც ყურადღება არ მიაქციეს, რადგანაც ფულის ხსენება იყო. რას შეადგენდა გორის სამასწავლებლო სამღვდელოებისთვის, რომ ქართულ ენის გაკვეთილები მაინც მოემატათ შესაფერის ჯილდოთი, თუ მას დანარჩენ შრომისთვის არ უმატებდენ! თვითო კვირის გაკვეთილზე წელიწადში დადებულია 20 მანეთი.

ახლა ვიტყვი ჩემ თხოვნების შესახებ, რომლებსაც მახარობლიძე უადგილოდა ხედავს.

აგერ მეხუთე წელიწადი მისრულდება, რაც აქ მასწავლებლადა ვარ. პირველ მოსვლაზედ მე აქ დამხვდა ერთად-ერთი მოსამზადებელი კლასი. რიცხვი გაკვეთილებისა მქონდა კვირაში 21, ჯამაგირათ 420 მანეთი. ადვილა მიხვდება, რა შრომა მექნებოდა მაშინ, როდესაც ორ მოსამზადებლის კლასის მაგივრად ერთი იყო, ორ მასწავლებლის მაგივრად ერთი. ამიტომ მე შევიტანე თხოვნა, რომ ორი მოსამზადებელი კლასი გახსნილიყო და ამასთანვე ვითხოვე ჯამაგირიც მოემატებინათ ჩემთვის. ადგილობრივმა მთავრობამ წარუდგინა ჩემი თხოვნა კრებას. კრება დათანახმდა ჩემი ჯამაგირის მომატებაზედ და გამიხადა 600 მანეთი, იმ აზრით, რომ ისევ იქნებოდა ერთი მოსამზადებელი კლასი, მაგრამ ამაზედ არქიელი არ დათანახმდა და უბრძანა სამღვდელოებას ორი მოსამზადებლის კლასის გახსნა.

შემდეგ კრებაში, რომელიც მოხდა 1879 წ., დაადგინეს ორი მოსამზადებელი კლასის გახსნა, და თითო მასწავლებელს გადაუჭრეს 500 მანეთი წელიწადში. ამ მეორე კრების გადაწყვეტილებით მე მეძლეოდა წელიწადში 500 მანეთი ნაცვლად 600 მანეთისა, რომელიც მე აღმითქვა პირველმა კრებამ.

შემდეგ ამისა 25-ს ივნისს 1881 წელს მოხდა კრება, რომელსაც ვსთხოვე ჯამაგირის მომატება; კრებამ ჩემი შრომა სახეში მიიღო და მომიმატა 100 მანეთი და სრულიად გამიხდა წლიური ჯამაგირი 600 მანეთი. ამით რომ გათავებულიყო საქმე, ჩემი თხოვნა დაკმაყოფილებული იქნებოდა, მაგრამ შემდეგ მოუვიდათ აზრში ქართული ენის გაკვეთილების მომატება ჩემს კლასში და კიდეც დაადგინეს სამი გაკვეთილის მომატება თავიანთ ჟურნალის მე-7 მუხლში, რომელსაც ჯამაგირის მომატებასთან არავითარი კავშირი არა ჰქონდა; ჯამაგირის მომატებაზედ იყო ნათქვამი მე-4 მუხლში. ამისა გამო ჩემი თხოვნა ისევ დაუკმაყოფილებელი დარჩა, რადგანაც ამ 100 მანეთთან შრომაც მომიმატეს ასე რომ ეხლა კვირაში 24-ხი გაკვეთილი მაქვს. ამ მცირე ჯამაგირს თითონ კრებაცა გრძნობდა. თანხმად ამ კრების დადგენისა მე ვსთხოვე 1882 წლის კრებას ჯამაგირის მომატება. ამ ბოლოს კრებამ არც ჩემ თხოვნას მიაქცია ყურადღება და არც წინა კრების დადგენასა.

შემდეგ ამ უარის თქმისა, წრეულ კიდევ ვსთხოვე კრებას 17 ნოემბერს ჯამაგირის მომატება და კიდევ უარი მითხრეს, ამიტომ რომ მ. მახარობლიძესთვის „ჰო“ არ არსებობს, მას პირზედ აკერია „არა“. უფასოდ, უშრომლად მე რასა ვსთხოვ ან მ. მახარობლიძეს ან სხვას.

აგრეთვე უსაფუძვლოა მახარობლიძის შეხედულობა ჩვენ ჯამაგირებზედ. ეტყობა, რომ ის რუსულშიაც კოჭლობს; იმას „მოსამზადებელი კლასების წესდებულობით“ გამოჰყავს, რომ ამ კლასის მასწავლებელს უნდა ქონდეს ჯამაგირად წელიწადში 360 მანეთი. იმ მუხლში, რომელზედაც ემყარება მ. მახარობლიძე, სწერია: „არა ნაკლებ 360 მანეთისა“. ეს მუხლი იმას ამბობს, რომ სიძუნწე ამაზედ ნაკლებ არ დაიდესო. თვითონვე მ. მახარობლიძე ამბობს, რომ მასწავლებლების შრომას ერთი სამად და ერთი-ორთხად უნდა დაჯილდოებაო. თუ კი ესეც იცის, სხვა-და-სხვა კამენტარიებს რაღას ეძებს,—არა სჯობია, რომ უქონლობას, სიღარიბეს დააბრალოს, თუმცა იმდენად ღარიბი არც თითონ არის და არც სხვა, რომ ერთ მანათამდინ შეწირვა არ შეეძლოს სწავლა-განათლებისათვის.

ზაქ. დავითაშვ...

12 დეკემბერს, ქ. გორი.

ტფილისის საქალაქო [illegible]

ავადმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს.** გარადლევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავადმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა;

---

30) დედა-კაცს შობა რომ გაუჭირდება, მოიტანენ ყმაწვილის პირველ მოცვლილ კბილს, უსმელ წყალში ჩააგდებენ და მერე ამ წყალს მელოგინეს დაალევინებენ: უებარი წამალიაო.

31) უწლოვან ყმაწვილს მთვარე არ უნდა დაანახო, თორემ „ლუნატიკი“ დაემართებაო.

**სხვა-და-სხვა ცრუ მორწმუნეობა.**

1) ქალს მზითევში შავი ძაფი არ უნდა გაატანოთო: მალე დაქვრივდებაო.

2) მზითვის ქვეშაგებს არა უნდა მოაკლდესო, თორემ ქალს ავად-მყოფობა ეცოდინებაო.

3) ქალმა მზითვის რამე არა უნდა-რა შელებოს შავად, თორემ მალე დაქვრივდებაო.

4) ქალის თუნდ კაცის საქორწილო ტანისამოსის ნაკუწი არავინ უნდა წაიღოს, თორემ ჯადოს გაუკეთებენო.

5) ნეფე რომ ჯვარის საწერად წავიდეს, ჯიბით დაკეტილი კლიტე უნდა წაიღოსო, შევიდეს თუ არა ეკკლესიაში, გააღოს, თორემ შეკვრის ჯადოს უზამენო.

6) ქალ-ვაჟი რომ ჯვრის საწერად ეკკლესიაში შევლენ, თუ ქალმა დაადგა ფეხი საქრმოს, ქმარი იქნება ცოლის მორჩილიო და თუ ვაჟმა დაადგა, მაშინ ცოლი იქნება ქმრის მორჩილიო.

7) როდესაც ქალი-ვაჟი ჯვარს იწერენ, იმ დროს კედელს ან ბოძს არავინ უნდა მიენდო ეკკლესიაში, თორემ ჯადოაო.

8) ქალ-ვაჟის ჯვრის წერის დროს თუ ეკკლესიის კარის რაზაში ხელსახოცი გააძვრინა ვინმემ, ნაქორწილევთ ერთმანეთი შესძულდებათო.

9) ახალი ჯვარ-დაწერილი ქალი რომ ეკკლესიიდან გამოდიოდეს, ამ დროს გასათხოვარმა ქალმა აკოცოს, ისეც სწორზედ ჯვარს დაიწერსო.

10) ქალს მზითევში თითის-ტარი არ უნდა გაატანოთ, თორემ წლის თავამდის მოკვდება და მზითევი შინ დაბრუნდებაო.

11) ქალს მკრატელი თუ მზითევში გაჰყვა, საქრმეულისას მორჩუბარი იქნებაო.

12) სიძე რომ სიდედრთან პირველად მივიდეს, სიდედრმა ტკბილი ერბო-კვერცხი უნდა მოწვას: სიძე ბოლომდისინ ტკბილი ეყოლებაო.

13) პაცი რომ დასანიშნად წავიდეს, დანიშნულს თმაზედ ხელი ისე უნდა მოავლოს, რომ ქალმა ვერ გაიგოს: ქალს თმა აღარ ჩამოუვაო.

14) პირველ ახალ-მთვარეზე გასათხოვარი ქალი ხელ-უკუღმა კენჭს აიღებს ისე, რომ თანაც მთვარეს უცქერის და თანაც მთვარეს ეუბნება:

—„მთვარევ, შენ მიჩვენე ჩემი საქრმო, საბედო“.

იმ ღამეს ამ კენჭს თავით დაიდებს: ჩემს საქრმოს სიზმარში ვნახავო.

15) ახალ-მთვარეზე გასათხოვარი ქალი თმას შეიკვეცს და ნერგის ხის ძირში დაჰფლავს და იტყვის:

„ღმერთო, როგორც ეს ნერგი იზრდება მალე, ისე ჩემი თმა გაზარდე“.

16) ახალ-მთვარეზედ გამოვა გასათხოვარი ყმაწვილი ქალი, დაუჩოქებს მთვარეს, მუხლს მოუყრის, პირჯვარს გადიწერს და იტყვის:

—„მთვარევ, მთვარევ, როგორც შენ ახლდები ყოველს თვეს, ისე ჩემი თმა გაახლე და გაზარდე“.

17) სოფელში იციან: პირველად რომ ოფოფის ხმას გაიგონებენ, მუხას ქერქს შეაძრობენ და შინ შეინახვენ: სახლი ბარაქიანი იქნებაო.

18) როდესაც ზედაშის ჩასხმის შეძლება აღარ ექნებათ რომელიმე წმიდანის სახელობაზედ, მოსთხრიან და საზედაშე ქვევრს იმ წმიდანის ეკკლესიას მიუტანენ, რომლის სახელობაზედაც ჩადგმულია.

19) სახლიდამ რომ ძმარს მისცემენ ვისმეს, ცოტა მარილს ჩაუყრიან და წყალსაც მცირეს დაასხმენ: თუ უწყალოდ და უმარილოდ გაიტანა ვინმემ ძმარი, ეღარ დავაძმარებთო.

20) მაჭანკალს არაყი არ უნდა დაალევინო, თორემ საქმე ცუდად წავაო.

21) წყალში რომ ვინმე დაიხრჩოს, ციკანი უნდა დაუკლათ და წყალში გადააგდოთ: დამხრჩვალის სული განთავისუფლდებაო.

გლეხი ი. დ.

ზასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ზაზაევი—მარდ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი


**არწრუნის თეატრი.**

**კვირას, 19 დეკემბერს**

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება

**I**

**ქმარი ხუთის ცოლისა**

კომედ. 2 მოქმ. თხზ. ანტონოვისა.

**II**

**ჯერ დაიხოცნენ**

**მერე დაქორწილდნენ**

ვოდევილი-კომედია 2 მოქმ., რუსულიდამ გადმოკ. თ. რ. ერისთვისაგან.

**დასაწყისი 8 საათზედ.**

---

გაიცემა **იჯარით მამული თელავის მაზრაში ს. ყვარელში.** საიჯარო მამულს შეადგენს: სამი დიდი ვენახები, სახნავ-სათესი და სამოვარი ადგილები, ტყე და ორ თვალიანი წისქვილი. არის აგრეთვე სახლი, მარანი და ყოველი საოჯახო შენობები და მოწყობილობანი.

მსურველს დაწვრილებითი პირობების შეტყობა შეუძლიან ელისაბედ სოლომონის ასულის მარჯანოვისაგან ქ. ტფილისში გოლოვინის პროსპექტზე მირზოევის სახლებში ფორტის სტანტიის პირდაპირ № 44. (20—4)

---

**ვ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოში ტფილისში** (გოლოვინის პროსპექტზე ალექსანდროვის ბაღთან საკუთარს პავილიონში).

**მიიღება ხელის მოწერა**

**1883 წლისა**

ყოველ გვარ ჟურნალებზედ და გაზეთებზე ადგილობრივ, რუსულ და სამზღვარ გარეთებზედაც. (20—16)

---

**ექიმი—ბებია**

# ნ. დ. გავრონსკი

გადავიდა ახალს სახლ. ზუბალოვისა ერევნის მოედ. და სასახლის ქუჩის კუთხეში. შესავალი ერევნის მოედანით.

იღებს ავად-მყოფებს განსაკუთრებით **დედაცთა და ბავშვების** სატკივრებით მუდამ დღე, უქმეებს გარდა, დილის 9 საათ. 11-მდის. (10—7)

---

**ჭურჭელი! ჭურჭელი! ჭურჭელი!**

მივიღეთ დიდი რიცხვი: თეფშები 1-ლი ხარისხისა 2 მ. და 30 კ. დიუჟ.; დანა-ჩანგალი, ჩაი 1-ლის ხარისხისა, კალმები, ფადნოსები, სანთლები, პარაშოკი (ბორაკს) სარეცხისათვი, სამტევნი თბილი ჩულქები, 3000 პატარა თითო აბაზათ! 600 რკინის კროატი 5 მანეთიდგან 55 მანეთამდის, ფურაჟკები, ტანისამოსი, დრაპი, შედ-

---

გენილი ყვავილები ფოლადის სახურავებით და მრავალი სხვა საქონელი, ისყიდება ეხლიდგან ახალ-წლამდის ნახევარ ფასად, ანგლიის მაღაზიაში, არწრუნის ქარვასლაში. 5—3

---

**ვ. ვ. მუშტარით ჩაისა**

ჩვენის ფირმის უმორჩილესად ვთხოვთ მიაქციონ ყურადღება ზანდეროლობაზე ასოთ კ. და ს.

**ძმანი კ. და ს. პაპოვები,** სავაჭრო სახლი მოსკოვში. (10—7)

---

**ОБЪ ИЗДАНІИ**

**въ 1883 году**

Въ г. Тифлисѣ

еженедѣльнаго юридическаго журнала

**„ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ"**

*(годъ третій)*

*Журналъ, какъ и прежде, выходитъ по четвергамъ, въ размѣрѣ отъ 1 до 2 печатныхъ листовъ текста, кромѣ приложеній, по прежней программѣ*, въ объемъ которой входятъ *статьи по всѣмъ вопросамъ*, вытекающимъ *изъ теоріи и практики права и судопроизводства, переченъ, изложеніе и обсужденіе* важнѣйшихъ *распоряженій и узаконеній правительства*, краткіе *отчеты* (а въ случаяхъ важныхъ, и стенографическіе) *о выдающихся судебныхъ дѣлахъ*, особенно интересныя *гражданскія рѣшенія*, случаи изъ судебной жизни и практики *(разныя извѣстія), корреспонденціи* юридическаго содержанія, *городская хроника*, переченъ *новыхъ книгъ* юридическаго содержанія и *обзоръ печати, тезисы кассаціонныхъ рѣшеній*: Правительствующаго Сената и Тифлисской Судебной Палаты, *судебный указатель* и пр.

*Редакція* журнала—Тифлисъ, Дадовская ул. д. Кананова.

*Администрація* (для пріема подписки, объявленій и розничной продажи)—Тифлисъ, Сололакская ул. д. Меликова.

*Подписная цѣна на журналъ*, съ доставкою и пересылкою, *на годъ—10 р., на 9 мѣс.—8 р. 20 к., на 6 мѣс.—6 р., на 3 мѣс.—3 р. 20 к., на 1 мѣс.—1 р. 20 к.*,

*Разсрочки въ платежѣ* денегъ допускается—для годовыхъ подписчиковъ: *при подпискѣ 4 руб. и въ февралѣ и мартѣ по 3 р., и для полугодовыхъ: при подпискѣ 3 р. и чрезъ мѣсяцъ еще 3 р.*

Подписаться можно съ 1-го числа каждаго мѣсяца и не далѣе конца года.—*Отдѣльные нумера* по 25 к.—*Объявленія*, казенныя и частныя, по таксѣ за занимаемое мѣсто.—Кромѣ администраціи журнала, подписка и объявленія принимаются въ *Москвѣ* и С.-*Петербургѣ* въ книжныхъ магазинахъ И. П. Анисимога.

Редакторъ А. В. *Степановъ*.

Издатель А. С. *Френкель*.
(Присяжный Повѣренный)

(6—4)

---

დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი სოფხური წიგნი

**მწყემსის სტვირი**

**ლექსები, სიმღერები და ზღაპრები**

ცნობის-მოყვარე ყრმათათვის

სკოლაში და შინ საკითხავად

ადაიანცისა

გამოცემა ვ. მ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოსი.

ფასი ერთი აბაზი

---

ინგლისის

# მაღაზია

*Maison de confiance*

შეადარეთ წვენი ჩაი—1 მ. 10 კ. მოსკოვის ჩაის—1 მ. 40 კ.

| | | | |
|---|---|---|---|
| — — | —1—20 | — | —1—60 |
| — — | —1—40 | — | —1—80 |
| — — | —1—60 | — | —2— „ |
| — — | —1—80 | — | —2—50 |
| საუკეთესო | —2— „ | — | —3— „ |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25, დამ 5-ს პროცენტით უფრო იაფად-ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდის საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—25)

---

ახალი წიგნი

**ისყიდება შავერდოვის გაზეთის სააგენტოში, ბულვარზე**

შემოკლებული

**საქართველოს**

# ისტორია

შედგენილი რომან ცანციევისაგან. 1882 წ. ფასი თოთხმეტი შაური, გაგზავნით ოთხი აბაზი.

---

დაიბეჭდა და ისყიდება ზრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში:

**თამარ დედოფალი**

შედგენილი

**კ. ბ—შვილისაგან**

გამოცემა

**ზაქ. ჭიჭინაძისაგან**

ფასი ერთი აბაზი.

---

**ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი**

# მოთხრობანი

წიგნი მეორე.

ისყიდება **ტფილისში:** შავერდოვთან, ჩარკვიანთან და ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ).

**ქუთაისში:** ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.

**გორში:** მ. კერესელიძესთან.

---

დაიბეჭდა და ისყიდება ზრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**მამულის**

**საერთო მფლობელობაზე**

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

---

**ტაქსია**

საქმებაზე ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და დახლებზე 1 დეკემბრიდამ 1 იანვრამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 3½ |
| მესამის „ | —1 გირ. | — |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |

ჯვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 5 კ. |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 4½ |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4 კ. |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 9 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 8 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 9 კ. |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | 10 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 9 კ. |

---

**ბავშვების საჩუქრებით წარმოდგენა.**

**ბეკკერის თეატრი**

ბუნიბის მოედანზედ.



მშვენივრად მოწყობილი სცენა ელექტრონული განათებით.

**შაბათს, 18 დეკემბერს**

გამოჩენილის რუსეთის და პრუსიის სასახლის მაგიკისგან

**პროფესორი ბეკკერისგან**

დიდი სასწავლებელ-სამხიარულო წარმოდგენა, რომელზედაც ბავშვებს დაურიგებენ საჩუქრებს.

სულ საჩუქრები არის რიცხვით 30. წარმოდგენა იქნება საუკეთესო და ახალის პროგრამით; მაგია, ელექტრო-მაგნიტიზმი და სპირიტიზმი სამს განყოფილებად.

დასაბოლოებლად უკანასკნელად

**ყვავილების სამოთხის შადრევანი**

ადგილების ფასი შემცირებული ბავშვებისთვინაც და დიდებისთვინაც.

დაიწყება 5 საათზე.

**ანონსი.** კვირას 19 დეკემბერს ახალი წარმოდგენა, აგრეთვე საჩუქრებით. (2—2)


*Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Декабря 1882 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მესხი